მე ქალებს ხელს არ ვართმევ, ჭეშმარიტად ჩემი სიტყვა ას ქალზე ნათქვამი ისეთივეა, როგორც ერთ ქალზე

გადმოცემულია უმაია ბინთ რუყაიყასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მივედი შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სხვა ანსარ ქალებთან ერთად, რომ მისთვის ფიცი მიგვეცა, და ვუთხარით: "ო ალლაჰის შუამავალო, ჩვენ ვდებთ შენ ფიცს, რომ არ დავუდგენთ ალლაჰს მოზიარედ არავის, არ ვიქურდებთ, არ ვიმრუშებთ, არ მოვიგონებთ ტყუილს, და არ გეურჩებით კეთილ საქმეში", თქვა: «რაც შეგიძლით და რისი ძალაც გაქვთ». მან თქვა: "ჩვენ ვუთხარით: "ალლაჰი და მისი შუამავალი ჩვენთვის უფრო მოწყალენი არიან. მიიღე ჩვენი ფიცი, ო ალლაჰის შუამავალო", ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მე ქალებს ხელს არ ვართმევ, ჭეშმარიტად ჩემი სიტყვა ას ქალზე ნათქვამი ისეთივეა, როგორც ერთ ქალზე», ან მსგავსია ჩემი სიტყვის ერთ ქალზე ნათქვამის».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه الترمذي والنسائي وابن ماجه]

უმაია ბინთ რუყაია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ის მივიდა შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სხვა ანსარ ქალებთან ერთად, შეჰფიცეს შუამავალს, რომ არ დაუდგენდნენ ალლაჰს არაფერს თანაზიარად, არ მოიპარავდნენ, არ იმრუშებდნენ, არ იტყოდნენ ტყუილს მათ მიერ ჩადენილ ცოდვებზე, და მას არ ეურჩებოდნენ კეთილ საქმეებში, და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: იმის ფარგლებში, რაც შეგიძლიათ და რისი ძალაც შეგწევთ. ვუთხარით: ალლაჰი და მისი შუამავალი უფრო მოწყალენი არიან ჩვენს მიმართ, ო ალლაჰის შუამავალო, მოდი შემოგფიცებთ ისე, როგორც მამაკაცები დებენ შენთან ფიცს ხელის ჩამორთმევით. შუამავალმა კი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: მე ქალებს ხელს არ ვართმევ, ჩემი სიტყვა და ფიცი ასი ქალის მიმართ მსგავსია, როგორც ერთი ქალის მიმართ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66196